თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება №61

„01“ თებერვალი 2017 წ. ქ. თელავი

ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 119-ე მუხლის მე-11 ნაწილის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ვადაგაგრძელებული უპირობო ელექტრონული აუქციონი თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის (შემდგომ ტექსტში - თელავის მუნიციპალიტეტი) საკუთრებაში არსებულ, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების მიზნით (ს/კოდი №53.08.39.324, 17034 კვ.მ).
2. დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ვადაგაგრძელებული უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ ინფორმაცია დანართის შესაბამისად;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი

დანართი

ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ვადაგაგრძელებული უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:

ლოტის №	ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა	ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	საგარანტიო თანხა	ბიჯი (ლარი)
ლოტი №1	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	17034	53.08.39.324	262 000	78 600	6550

2. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ასეთ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

3. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება, საგარანტიო თანხა არ დაუბრუნდება და სხვა ხარჯები არ აუნაზღაურდება.

4. აუქციონი დაიწყოს 2017 წლის 02 თებერვალს დღის 09:00 საათზე და დასრულდეს 2017 წლის 16 თებერვალს დღის 18:00 საათზე.

5. საკონტაქტო ინფორმაცია - ტელ: 0350 – 23 – 21- 90.

გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი